ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 4-9

27 დეკემბერი
"---" -------- 2021 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განსაზღვრული ავტობუსებით (M2 კატეგორია) მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 აპრილის №8-31 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 03/05/2017, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016389) და დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „დ.დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დ.დ) №№21, 39, 43, 48, 52, 99, 136, 139, 187, 222 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;

ბ) „ე.დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე.დ) №№ 5, 28, 55, 70, 71, 84, 91, 95, 103, 105, 113, 119, 155, 156, 162, 185, 189, 190, 191, 199 მარშრუტებზე - 0,5 ლარის ოდენობით;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის პირველი იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე